

შპს როქი

ს/ნ 206271755

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ცვლილების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

1.	ძირითადი საქმიანობა	8
2.	ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
3.	ფული და ფულის ექვივალენტები	11
3.	საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
4.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
5.	სასაქონლო მატერიალური მარაგები	11
6.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
7.	საგადასახადო ვალდებულებები	12
8.	შემოსავალი	13
9.	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
10.	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
11.	სხვა შემოსულობა/ზარალი	13
12.	კაპიტალი	13
13.	სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2021	2020	2019
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის	206 662	245 038	119 461
ეკვივალენტები	911 806	888 427	728 918
სავაჭრო მოთხოვნები	-	222 901	171 091
გადახდილი ავანსები	112 913	137	43 893
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები	1231 381	1356 503	1063 363
<i>სასაქონლო მატერიალური მარაგი</i>			
მარაგები	2663 211	2154 154	1699 768
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	2663 211	2154 154	1699 768
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	2444 800	2121 001	836 233
ბიოლოგიური აქტივები	-	340	340
სხვა არამატერიალური აქტივები	88 644	88 644	57 707
სულ გრძელვადიანი აქტივები	2533 444	2209 985	894 280
სულ აქტივები	6428 036	5720 642	3657 411
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო ვალდებულებები	728 948	348 774	609 476
საგადასახადო ვალდებულებები	-	9 730	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	6 349	2 994
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	108 876	72 013	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	837 824	436 866	612 470
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	964 813	1156 997	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	964 813	1156 997	-

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს
შემთხვევაში 'კაპიტალი',
კოოპერატივის შემთხვევაში
'საპაიო კაპიტალი')

200

200

200

გაუნაწილებელი მოგება /
ზარალი

4625 199

4126 579

3044 741

გადაფასების რეზერვი

4625 399

4126 779

3044 941

სულ საკუთარი კაპიტალი

6428 036

5720 642

3657 411

**სულ კაპიტალი და
ვალდებულებები**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

შპს როქი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები	2021	2020
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	9828842	8546919
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7912582	-6358239
საერთო მოგება	1 916 260.00	2 188 680.00
საოპერაციო ხარჯები	-1 151 227.00	-1 087 204.00
სხვა შემოსავალი	141212	4461
დასაქმებულთა ანაზღაურება	-817514	-737941
ცვეთა და ამორტიზაცია	-147375	-74075
საპროცენტო შემოსავალი:	6769	1772
საპროცენტო ხარჯი :	-57557	-662
იჯარის ხარჯი	-13729	-13729
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-263033	-267030
საოპერაციო მოგება	765 033.00	1 101 476.00
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	-256 585.00	-7 487.00
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)	-8622	12704
სავალუტო ოპერაციებიდან		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-247963	-20191
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	508 448.00	1 093 989.00

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი



შპს როქი

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	245 038	119 461
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	287 394	327 647
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	- 108 655	- 1361 346
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	- 208 493	1156 997
სავალუტო კურსის ეფექტი	- 8 622	2 279
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	206 662	245 038

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	200		3044 741	3044 941
წმინდა მოგება	-	-	1087 618	1087 618
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(5 780)	(5 780)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	200		4126 779	4126 979
წმინდა მოგება	-	-	508 448	508 448
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	(9 828)	(9 828)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	200		4625 399	4625 599

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

შპს როქი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს როქი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2007 წლის 02 თებერვალს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით	2018 წელი	2017 წელი
მიხეილ ჭიჭაყუა	50%	50%
ნიკოლოზ ზაზაშვილი	50%	50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვეტერინარული საქმიანობები, საბითუმო ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2021 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის

მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის მოგებამ ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე 2021 წელს შეადგინა 508448 ლარი. რაც ნაკლებია 2020 წელთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ გაზრდილია წლის შემოსავლები გაყიდვებიდან გამომდინარე. ეს ფაქტი გამოწვეულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულების გაზრდითა და სესხიდან გამოწვეული ვალდებულებებიდან. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და შეუძლია საქმიანობის გაგრძელება.

ამონაგების აღიარება

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	25- 35 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	10-15 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-15 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითად ნაწილი კომპანიის მიერ შეძენილი ლიცენზიები და საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დღემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანაგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

კომპანიის მიმდინარე აქტივები აჭარბებს მიმდინარე დავალიანებებს.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები	206662	245038
სულ	206662	245038

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
სავაჭრო მოთხოვნები	911806	888427
გადახდილი ავანსები	0	222901
სულ	911806	1111328

სავაჭრო მოთხოვნები 2021 წლისათვის შემცირებულია ავანსებიდან მიღებული საქონლის ღირებულებით და საქონლის რეალიზაციით გაზრდილ მოთხოვნებზე დროული გადახდების საფუძველზე.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	2663211	2154154

მარაგების რაოდენობა მუდმივად ივსება რეალზებული საქონლის პროპორციულად.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	728948	348774
მიღებული ავანსები	0	6349
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>	<u>728948</u>	<u>355123</u>

2021 წელს გაიზარდა მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და შემცირდა მიღებული ავანსები.

7. საგადასახადო ვალდებულებები

	<u>31 დეკემბერი 2021წ</u>	<u>31 დეკემბერი 2020წ</u>
საგადასახადო ვალდებულებები	-112913	9730

საბიუჯეტო გადასახადები მიმდინარე წელს შეადგენს უარყოფით ბალანსს ჩასათვლელი დღე-ს ხარჯზე.

8. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალის უდიდესი ნაწილი შედგება ვეტერინარული პრეპარატების, მინერალური სასუქებისა და აგროქიმიური პროდუქტების რეალიზაციისგან.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, თანამშრომლზე გაცემულ ხელფასებსა და ტრანსპორტირების ხარჯებს.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა და კომუნიკაციის ხარჯებს, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯებს.

11. სხვა შემოსულობა/ზარალი

2020 და 2021 საანგარიშგებო წლებში კომპანია იყო მომგებიანი.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწყისი საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

